მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში

2026 წელი

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვა მომზადებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით და მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

I. მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	2026 წლის 9 თვის გეგმა			2026 წლის 9 თვის შესრულება		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
I. შემოსავლები	**38,511.0**	**35,232.2**	**3,278.8**	**49,387.1**	**48,345.3**	**1,041.8**
გადასახადები	28,197.2	28,197.2	-	33,435.9	33,435.9	-
გრანტები	3,278.8	-	3,278.8	1,041.8	-	1,041.8
სხვა შემოსავლები	7,035.0	7,035.0	-	14,909.3	14,909.3	-
II. ხარჯები	**47,724.6**	**45,648.3**	**2,076.3**	**33,525.4**	**32,145.3**	**1,380.0**
შრომის ანაზღაურება	5,094.0	5,094.0	-	4,353.0	4,353.0	-
საქონელი და მომსახურება	12,531.8	10,701.2	1,830.6	6,619.4	5,465.3	1,154.2
სუბსიდიები	24,511.4	24,275.9	235.5	20,351.0	20,133.7	217.3
გრანტები	108.0	108.0	-	94.0	94.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	1,392.9	1,392.9	-	1,065.1	1,065.1	-
სხვა ხარჯები	4,086.5	4,076.2	10.2	1,042.9	1,034.3	8.6
III. საოპერაციო სალდო	**- 9,213.6**	**- 10,416.1**	**1,202.6**	**15,861.7**	**16,199.9**	**- 338.3**
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	**41,314.5**	**37,494.4**	**3,820.1**	**4,662.6**	**3,473.7**	**1,189.0**
ზრდა	43,514.5	39,694.4	3,820.1	10,595.9	9,406.9	1,189.0
კლება	2,200.0	2,200.0	-	5,933.2	5,933.2	-
V. მთლიანი სალდო	**-50,528.1**	**-47,910.5**	**- 2,617.6**	**11,199.0**	**12,726.3**	**-1,527.2**
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	**-50,528.1**	**- 47,910.5**	**- 2,617.6**	**11,199.0**	**12,726.3**	**- 1,527.2**
ზრდა	**-**	**-**	-	**12,726.3**	**12,726.3**	**-**
ვალუტა და დეპოზიტები	-	-	-	12,726.3	12,726.3	-
კლება	**50,528.1**	**47,910.5**	**2,617.6**	1,527.2	**-**	**1,527.2**
ვალუტა და დეპოზიტები	50,528.1	47,910.5	2,617.6	1,527.2	-	1,527.2
VIII. ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ათასი ლარი

დასახელება	2026 წლის 9 თვის გეგმა			2026 წლის 9 თვის შესრულება		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
შემოსულობები	**40,711.0**	**37,432.2**	**3,278.8**	**55,320.3**	**54,278.5**	**1,041.8**
შემოსავლები	38,511.0	35,232.2	3,278.8	49,387.1	48,345.3	1,041.8
არაფინანსური აქტივების კლება	2,200.0	2,200.0	-	5,933.2	5,933.2	-
გადასახდელები	**91,239.1**	**85,342.7**	**5,896.4**	**44,121.3**	**41,552.2**	**2,569.0**
ხარჯები	47,724.6	45,648.3	2,076.3	33,525.4	32,145.3	1,380.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	43,514.5	39,694.4	3,820.1	10,595.9	9,406.9	1,189.0
ნაშთის ცვლილება	**-50,528.1**	**-47,910.5**	**-2,617.6**	**11,199.0**	**12,726.3**	**-1,527.2**

2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი მთლიანობაში 72 178,1 ათას ლარს შეადგენდა, რომელიც საანგარიშო პერიოდში მთლიანად იქნა ასახული ბიუჯეტში ნაშთის ცვლილების (ნაშთის გამოყენების) სახით.

საანგარიშო პერიოდში ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 11 199,0 ათასი ლარი.

ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობების 9 თვის შესრულების შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 9 თვის **შემოსულობების** (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 40 711,0 ათ.ლარით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 55 320,3 ათ.ლარი, ანუ გეგმის 135,9% (დანართი N1).

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის საკასო შესრულება	სხვაობა +/-	შესრულება,%
შემოსულობები	**40,711.0**	**55,320.3**	14,609.3	135.9
შემოსავლები	38,511.0	49,387.1	10,876.0	128.2
არაფინანსური აქტივების კლება	2,200.0	5,933.2	3,733.2	-

შემოსავლები

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების 9 თვის (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა - **38 511,0** ათასი ლარი - ფაქტობრივად

49 387,1 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 128.2% და მთლიანი შემოსულობების (**55 320,3** ათასი ლარი) - 89,3% შეადგინა.

1. გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 33 435,9 ათასი ლარი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 28 151,0 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 5 284,9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის:

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 18 421,5 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 17 854,6 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) 34.4 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) - 23,9 ათასი ლარი, ხოლო მიწაზე ქონების გადასახადიდან - 508,6 ათასი ლარი.

წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2025 წლის ფაქტი - 16 600,3 ათასი ლარი) შედარებით ქონების გადასახადიდან 1 821,2 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის (2025 წლის 9 თვის ფაქტი - 16 136,4 ათასი ლარი).

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 15 014,5 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 11 550,7 ათასი ლარი) შედარებით 3 463,8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის საკასო შესრულება	სხვაობა +/-	შესრულება,%
გადასახადები, მათ შორის:	**28,197.2**	**33,435.9**	**5,238.7**	**118.6**
დამატებული ღირებულების გადასახადი	**12,964.2**	**15,014.5**	**2,050.3**	**115.8**
ქონების გადასახადი	**15,233.0**	**18,421.5**	**3,188.5**	**120.9**
საწარმოთა ქონებაზე	15,000.0	17,854.6	2,854.6	119.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე	-	34.4	34.4	-
ფიზიკურ პირთა ქონებაზე	13.0	23.9	10.9	183.7
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	70.0	61.0	-9.0	87.1
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	150.0	447.6	297.6	298.4

2. გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ჩარიცხულია 1 041,8 ათასი ლარი, მათ შორის:

მიზნობრივი ტრანსფერი - 671,3 ათასი ლარი:

,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 317,0 ათასი ლარი;

საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის (მთავრობის განკარგულება N2260 24.12.2025წ.) - 342,5 ათასი ლარი;

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის (მთავრობის განკარგულება N589 20.03.2026წ.) - 11.8 ათასი ლარი;

კაპიტალური ტრანსფერი - 370,5 ათასი ლარი:

მუნიციპალიტეტების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნაწილობრივი რეაბილიტაციის უზრუნველყოფისთვის (მთავრობის განკარგულება N2260 24.12.2025წ.) - 50,5 ათასი ლარი;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (მთავრობის განკარგულება N85 16.01.2026წ.) - 320,0 ათასი ლარი;

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის საკასო შესრულება	სხვაობა +/-	შესრულება,%
გრანტები (ტრანსფერები), მათ შორის:	**3,278.8**	**1,041.8**	**- 2,237.1**	**31.8**
მიმდინარე, მათ შორის:	**807.5**	**671.3**	**- 136.2**	**83.1**
მიზნობრივი ტრანსფერი	807.5	671.3	- 136.2	83.1
კაპიტალური, მათ შორის:	**2,471.3**	**370.5**	**- 2,100.8**	**15.0**
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	846.0	320.0	- 526.0	**37.8**
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე	600.0	-	- 600.0	-
სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან	1,025.3	50.5	- 974.8	**4.9**

3. სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 7 035,0 ათასი ლარის ფაქტობრივმა შესრულებამ 14 909,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 211,9%-ია, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 11 967,2 ათასი ლარი) შედარებით 2 942,1 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების ფაქტობრივმა მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 8 388,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2920,0 ათასი ლარი) 287,3%-ია. მათ შორის:

პროცენტებისს სახით საანგარიშო პერიოდში მობილიზებულია 6 426,0 ათასი ლარი (საპროგნოზო მაჩვენებლის 378%), რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (9 თვის ფაქტი - 4 784,5 ათასი ლარი) შედარებით 1 614,5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

რენტის სახით მიღებულია 1 962,5 ათასი ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის (1 220,0 ათასი ლარი) 160,9%, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 1 707,0 ათასი ლარი) შედარებით - 255,4 ათასი ლარით მეტი; მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელიდან - 1 476,3 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 486,2 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 1 457,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 455,0 ათასი ლარი) 100,2%-ია, აქედან:

ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით მობილიზებულია 1 378,0 ათასი ლარი, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებელი - 779,4 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 921,1 ათასი ლარი) შედარებით შემოსულია 141,6 ათასი ლარით

ნაკლები, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებელი - 571,5 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 554,6 ათასი ლარი) შედარებით 17,0 ათასი ლარით მეტია შემოსული და სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 27.0 ათასი ლარი;

არასაბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვებიდან, რომელიც აერთიანებს შემოსავლებს მომსახურების გაწევიდან, მიღებულია 80,0 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 58,3 ათასი ლარი) შედარებით მეტია 21,7 ათასი ლარით.

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 4 867,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (2 570,0 ათასი ლარი) 189,4% და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 3 797,5 ათასი ლარი) შედარებით 1 069,6 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 3 016,6 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 140,5 ათასი ლარი, სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 1 710,1 ათასი ლარი;

ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 195,8 ათასი ლარი, გეგმის (90.0 ათასი ლარი) 217.5%, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 140.9 ათასი ლარი) შედარებით 54,9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია შემოსული, აქედან, შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 169,9 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 10,2 ათასი ლარი, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება - 1,7 ათასი ლარი; ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 6,4 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 7,5 ათასი ლარი.

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის საკასო შესრულება	სხვაობა +/-	შესრულება, %
სხვა შემოსავლები, მათ შორის:	**7,035.0**	**14,909.3**	**7,874.3**	**211.9**
შემოსავლები საკუთრებიდან	**2,920.0**	**8,388.5**	**5,468.5**	**287.3**
პროცენტები	**1,700.0**	**6,426.0**	**4,726.0**	**378.0**
რენტა	**1,220.0**	**1,962.5**	**742.5**	**160.9**
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	1,070.0	1,476.3	406.3	138.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან	150.0	486.2	336.2	324.1
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**1,455.0**	**1,457.9**	**2.9**	**100.2**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**1,420.0**	**1,378.0**	**- 42.0**	**97.0**
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	-	27.0	27.0	-
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის	820.0	571.5	- 248.5	69.7
სანებართვო მოსაკრებელი	600.0	779.4	179.4	129.9
არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	**35.0**	**80.0**	**45.0**	**228.5**
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	35.0	80.0	45.0	228.5

შემოსავლის სახეები	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის საკასო შესრულება	სხვაობა +/-	შესრულება, %
სანქციები, ჯარიმები და საურავები	**2,570.0**	**4,867.2**	**2,297.2**	**189.4**
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	1,970.0	3,016.6	1,046.6	153.1
შემოსავალი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	500.0	140.5	- 359.5	28.1
შემოსავლები სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	100.0	1,710.1	1,610.1	1,710.1
ტრანსფერები, რომლებისც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	**90.0**	**195.8**	**105.8**	**217.5**
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	90.0	189.4	99.4	210.4
შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე	-	6.4	6.4	-

არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან სულ მიღებულია 5 933,2 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან - 22 597,1 ათასი ლარი - შედარებით 16 663,9 ათასი ლარით ნაკლები, მათ შორის: სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან 5,7 ათასი ლარი, მანქანა-დანადგარების და ინვენტარის გაყიდვიდან 27,7 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან 5 899,8 ათასი ლარი: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან მიღებულია 589,9 ათასი ლარი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან - 5 279,2 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან - 30,7 ათასი ლარი.

ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულება:

◙ **საერთო დანიშნულების** სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 6 159,9 ათასი ლარი, გეგმის (7 934,6 ათასი ლარი) 77,6%, მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 14%-ს.

◙ **ეკონომიკური საქმიანობის** სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 22 403,6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 6 845,6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 30,6%. მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 15,5%-ს.

◙ **გარემოს დაცვის სფეროს** დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 6 339,8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 3 812,7 ათასი ლარი, ანუ გეგმის 60,1%; მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 8,6%-ს.

◙ **საბინაო-კომუნალური** მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 31 086,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 9 661,7 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 21,1%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 21,9%-ს.

◙ **ჯანმრთელობის დაცვის** სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 1 423,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 146,6 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 80,6%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 2,6%-ია.

◙ **დასვენების, კულტურის და რელიგიის** სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 7 041,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 5 544,9 ათასი ლარი, გეგმური 78,8 %. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 12,6%-ია.

◙ **განათლების სფეროს** დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 12 619,4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 9 956,8 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 78,9%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 22,6%-ია.

◙ **სოციალური დაცვის სფეროს** დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 2 391,5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 993,0 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 41,5%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 2,3%-ია.

II. ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 9 თვის გადასახდელების შესრულების შესახებ

2026 წელს 9 თვეში გადასახდელების შესრულების 48.4%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა (დანართი N2). 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით თანხობრივ ჭრილში (2025 წლის 9 თვე - 45 894.7 ათასი ლარი) დახარჯულია 1 773,5 ათასი ლარით ნაკლები.

2026 წლის ბიუჯეტის 9 თვის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 91 239.1 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 44 121.3 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 48,4%, მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 47 724,6 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა - 33 525,4 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 70,2% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 76%.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 43 514,5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 10 595,9 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 24,4% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 24%.

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 9 თვის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გაწეულმა მთლიანი ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 33 525,4 ათასი ლარი, მათ შორის:

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 5 094,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 4 353,0 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 85,5%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 13%-ია.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 12 531,8 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 6 619,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 52,8%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 19,7%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 24 511,40 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 20 351,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 83%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 60,7%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 108,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 94,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 87%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.3%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1 392,9 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 065,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 76,5%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 3.2%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 4 086,5 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 1 042,9 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 25,5%, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 3.1%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან **არაფინანსური აქტივების ზრდაზე** გაწეულმა მთლიანი ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 10 595,9 ათასი ლარი, მათ შორის:

ათასი ლარი

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის შესრულება	სხვაობა +/-	შესრულება, %
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	63.0	19.1	43.9	30.4
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	39,047.5	9,203.8	29,843.8	23.6
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	948.0	12.2	935.8	1.3
04 00	განათლება	1,399.7	270.8	1,128.9	19.3
05 00	კულტურა, რელიგია,	2,052.1	1,085.9	966.2	52.9

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2026 წლის 9 თვის გეგმა	2026 წლის 9 თვის შესრულება	სხვაობა +/-	შესრულება, %
	ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი				
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4.2	4.1	0.1	98.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა, ჯამი	**43,514.5**	**10,595.9**	**32,918.6**	**24.4**

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები

✓ პრიორიტეტი ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 16 507,3 ათასი ლარით, გეგმის (53 489,7 ათასი ლარი) - 30,9%;

✓ პრიორიტეტი დასუფთავება და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 3 812,7 ათასი ლარით, გეგმის (6 339,8 ათასი ლარი) - 60,1%;

✓ პრიორიტეტი განათლება საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 9 956,8 ათასი ლარით, გეგმის (12 619,4 ათასი ლარი) - 78,9%;

✓ პრიორიტეტი კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა საანგარიშო პერიოდში 5 544,9 ათასი ლარით, გეგმის (7 041,1 ათასი ლარი) - 78,8%;

✓ პრიორიტეტი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2 139,6 ათასი ლარით, გეგმის (3 814,6 ათასი ლარი) – 56,1%;

✓ პრიორიტეტი მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 6 159,9 ათასი ლარით, გეგმის (7 934,6 ათასი ლარი) - 77,6%.

III. პროგრამების და ქვეპროგრამების შესრულება

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

ათასი ლარი

კოდი	პრიორიტეტი/პროგრამა/ ქვეპროგრამა	პერიოდის გეგმა	პერიოდის ხარჯი	გადახრა +/-	შესრულება, %
02 00	**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**	**53,489.7**	**16,507.3**	**36,982.4**	**30.9**
02 01	**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**	**18,478.9**	**5,040.4**	**13,438.5**	**27.3**
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება	1,966.2	542.7	1,423.5	27.6
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	13,477.9	3,382.1	10,095.8	25.1
02 01 03	გზების კეთილმოწყობა	3,034.8	1,115.5	1,919.3	36.8
02 02	**წყლის სისტემების განვითარება**	**6,382.3**	**3,879.1**	**2,503.2**	**60.8**
02 02 01	სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	1,715.9	1,280.0	435.9	74.6
02 02 02	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	4,011.5	2,492.7	1,518.8	62.1
02 02 03	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	655.0	106.4	548.6	16.2
02 03	**გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია**	**1,967.4**	**1,785.1**	**182.3**	**90.7**
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	1,472.5	1,342.3	130.2	91.2
02 03 01 01	გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება	1,030.0	962.0	68.0	93.4
02 03 01 02	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	442.5	380.3	62.2	85.9
02 03 02	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია	494.9	442.8	52.1	89.5
02 04	**მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია**	5,175.3	370.4	4,804.8	7.2
02 05	**სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება**	1,098.0	610.0	488.0	55.6
02 06	**კეთილმოწყობის ღონისძიებები**	3,933.3	1,408.6	2,524.6	35.8
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელები)	3,199.2	1,258.6	1,940.6	39.3
02 06 02	დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა	120.0	93.6	26.4	78.0

კოდი	პრიორიტეტი/პროგრამა/ ქვეპროგრამა	პერიოდის გეგმა	პერიოდის ხარჯი	გადახრა +/-	შესრულება, %
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	614.0	56.4	557.7	9.2
02 07	**სოფლის მხარდაჭერის პროგრამა**	**2,938.0**	**929.4**	**2,008.6**	**31.6**
02 08	**სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია**	**1,260.1**	**414.6**	**845.5**	**32.9**
02 09	**მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება**	**3,058.3**	**637.5**	**2,420.8**	**20.8**
02 10	**სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება**	**2,092.8**	**1,045.2**	**1,047.6**	**49.9**
02 11	**ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა**	**400.4**	**387.0**	**13.4**	**96.7**
02 12	**სპეციალური დანიშნულების ინვენტარის და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა**	**6,705.0**	**-**	**6,705.0**	**-**

02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსებულია 5 040,4 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 18 478,9 ათასი ლარი - 27,3%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 01 01 გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება - დაფინანსებულია 542,7 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 1 966,2 ათასი ლარის - 27,6%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: ადგილობრივი მნიშვნელობის ასფალტირებული გზების დაზიანებული მონაკვეთების სარემონტო სამუშაოები (სოფ. ლისი), საგზაო ნიშნების და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მონტაჟი.

02 01 02 გზების კაპიტალური შეკეთება - დაფინანსებულია 3 382,1 ათასი ლარით (მათ შორის, კაპიტალური ტრანსფერი 313,0 ათასი ლარი), გეგმური მაჩვენებლის - 13 477,9 ათასი ლარის - 25.1%;

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: სოფ. საგურამოში შიდა საუბნო გზის (მე-19 ქუჩა) რეაბილიტაცია; სოფ. ჯიღაურაში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია; სოფ. ნავაზში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია; სოფ. მუხრანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (განკარგულება N1955 31.12.2024წ); სოფ. ძეგვში შიდა საუბნო გზების (წითლობის უბანი) ასფალტბეტონის საფარის მოწყობა; ქ. მცხეთაში ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (6 ლოკაცია: რუსთაველის და წერეთლის ქუჩები, სააკაძის ქუჩაზე, ღვინჯილიას ქუჩის მიმდებარედ, აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ, არსენას ძეგლის მიმდებარედ და ე.წ. ქურთების უბანში (რგფ N1955 31.12.2024წ); ქ. მცხეთაში ჯავახიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია; სოფ. გოროვანში შიდა გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა; სოფ. აღდგომლიანთკარში შიდა გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა; სოფ. წეროვნის იგპ დასახლებაში (ხეობელების დასახლებაში მისასვლელი გზის) გზების რეაბილიტაცია; სოფ. ქსანში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა; სოფ. სასხორში შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (განკარგულება N1955 31.12.2024წ).

02 01 03 გზების კეთილმოწყობა - დაფინანსებულია 1 115,5 ათასი ლარით (მათ შორის, კაპიტალური 57,3 ათასი ლარი), გეგმური მაჩვენებლის - 3 034,8 ათასი ლარი - 36,8%;

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: სოფ. ძეგვში დაზიანებული გზის აღდგენა და გაბიონის მოწყობა (რგფ N1730 24.10.2025წ); სოფ. წილკანში, ტერიტორიის რეაბილიტაცია (ტაძრის მიმდებარედ), სოფ. მუხრანში ცენტრალური ნაწილის რეაბილიტაცია, ქ. მცხეთაში, მირიან მეფის ქუჩაზე ჩამოშლილი საავტომობილო გზის საყრდენი კედლის რეაბილიტაციის სამუშაოები; ვიდეო კამერების ინტერნეტქსელით უზრუნველყოფა და დაზიანებულის აღდგენა;

02 02 წყლის სისტემების განვითარება დაფინანსებულია 3 879,1 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 6 382,3 ათასი ლარი- 60,8%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 02 01 სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა - დაფინანსებულია შპს „წყლისა და ტრანსპორტის კომპანია“ 1 280,0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 1 715,9 ათასი ლარის 74,6%;

საანგარიშო პერიოდში კომპანია მოემსახურა მუნიციპალიტეტის 59 სოფელს, 9 თვის განმავლობაში ავარიული გამოძახების რაოდენობამ შეადგინა 137 ერთეული, განხორციელდა ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს დაზიანებული წყალსადენის ქსელის რემონტს, არსებული წყლის რეზერვუარების დაქლორვას, გაწმენდა-შეკეთებას; მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთებას და გამოცვლას; ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების და ჩამკეტ-მარეგულირებელი მოწყობილობების შეკეთებას, ახლით ჩანაცვლებას.

დაბინძურების წყაროების იდენტიფიცირების მიზნით სამსახურის მიერ რეგულარულად მიმდინარეობდა წყალმომარაგების სისტემების მდგომარეობის შესწავლა, რეზერვუარებში არსებული წყლის გაუსნებოვნება, დეზინფექცირება, რეზერვუარების დაქლორვა-გარეცხვა, ხარისხის მონიტორინგი და ლაბორატორიული კვლევა ტარდებოდა შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე.

საანგარიშო პერიოდში მოსახლეობას და საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს წყალი მიეწოდებოდათ ჭაბურღილების (28 სოფელი, 103 ერთეული), დრენაჟული წყალმიმღებების (21 სოფელი), კომპანია GWP - ის (10 სოფელი) და „გაერთიანებული ქართული წყლები“-ს (5 სოფელი) მეშვეობით. ამ პერიოდში მოეწყო 4 ცალი ჭაბურღილი: სოფ. არაშენდა - 1 ცალი, სოფ. ნავაზი - 1 ცალი, სოფ. ახალუბანი - 2 ცალი.

მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების არსებულ ქსელს (სავარაუდო სიგრძე 368529 მ.) საანგარიშო პერიოდში შეემატა 3571 გრძ.მ. სიგრძის სხვადასხვა დიამეტრის წყალსადენი: სოფ. არაშენდის, სოფ. ახალუბნის და სოფ. ნავაზის. ამ პერიოდისთვის წყალმომარაგების ქსელის სიგრძე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დაახლოებით 372100 გრძ.მ-ია.

სხვადასხვა ზომის შემკრები ავზების (რეზერვუარების) რაოდენობა, მ/წლის 9 თვეში მოწყობილი 3 ერთეულის ჩათვლით, ამ ეტაპზე არის 118 ცალი (მათ შორის 20 თვითდინებით შევსებადი), საერთო მოცულობით 15374 მ^3.

საანგარიშო პერიოდში, კომპანიას, წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების მოთხოვნით მიმართა 80 მომხმარებელმა, ტექნიკურ საკითხთა განმხილველი კომისიის გადაწყვეტილებით 48 მათგანზე გაიცა ტექნიკური პირობა.

02 02 02 სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია - დაფინანსებულია 2 492,7 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 4 011,5 ათასი ლარის 62,1%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: მუნიციპალიტეტის სოფლებში ჭაბურღილების მიერ მოხმარებული ელენერგიის ხარჯის ანაზღაურება, სოფ. უფურეთში, ნავაზში, ახალუბანში, ნიჩბისში და არაშენდაში წყლის სისტემების რეაბილიტაცია, სოფ. ბიწმენდში და სოფ. ჯიღაურაში სასმელი წყლის სისტემების მოწყობა.

02 02 03 საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - დაფინანსებულია 106,4 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 655,0 ათასი ლარი - 16,2%;

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საკანალიზაციო ქსელის გაწმენდა ქალაქ მცხეთაში (არმაზის დასახლება) და მუნიციპალიტეტის სოფლებში: საგურამო, ძეგვი, წეროვანი, წინამძღვრიანთკარი;

02 03 გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია დაფინანსებულია 1 785.1 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 1 967.4 ათასი ლარი - 90.7%, შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 03 01 01 გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება - დაფინანსებულია 962.0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის (1 030.0 ათასი ლარი)- 93.4%;

განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების 16 365 წერტილის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურება.

02 03 01 02 გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა (განმახორციელებელი ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“) - საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია 380.3 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 442.5 ათასი ლარი - 85.9 %.

საანგარიშო პერიოდში ყოველდღიურად ხორციელდებოდა დასახლებული პუნქტების და ქუჩების 16365 გარე განათების წერტილის ექსპლუატაცია, მათ შორის, ქ. მცხეთის ქუჩების, სკვერებისა და არქიტექტურული ძეგლების განათების 2 036 წერტილის და მუნიციპალიტეტის 60 სოფლის დასახლებული პუნქტების, ქუჩების გარე განათების 14 329 წერტილის, ამ პერიოდში განხორციელდა ამორტიზებული და მწყობრიდან გამოსული ელმოწყობილობების ახლით შეცვლა.

02 03 02 გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია დაფინანსებულია 442.8 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 493.0 ათასი ლარი - 89.5%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია გარე განათების მოწყობა სოფ. მუხათგვერდის დასახლებიდან არმაზის დასახლების ჩათვლით.

02 04 მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - დაფინანსებულია 370.4 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 5 175.3 ათასი ლარი - 7.2% . საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია: სოფ. საგურამოში, საცხოვრებელი კორპუსების სადარბაზოების რეაბილიტაცია (მთავრობის განკარგულება N1955 31.12.24წ); სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის მანქანა-დანადგარებისა და მათი ოპერატორების დაქირავების ხარჯი; ადმინისტრაციულ შენობის ლიფტის მომსახურების ხარჯი; უნებართვოდ აშენებული შენობების დემონტაჟი; ქ. მცხეთაში საცხოვრებელი კორპუსების (მტკვრის ქ N2 და მტკვრის ქ N4) ფასადის და სადარბაზოების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

02 05 სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება - დაფინანსებულია შპს „წყლისა და ტრანსპორტის კომპანია“ 610.0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 1 098.0 ათასი ლარი - 55.6%;

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა შპს „წყლისა და ტრანსპორტის კომპანიის“ მიერ გაწეული სატრანსპორტო სერვისის ხარჯები: ხელფასები, საწვავი, ავტობუსების რემონტი.

02 06 კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 1408.6 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 3 933,3 ათასი ლარი- 35.8%, შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 06 01 საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელები) - დაფინანსებულია 1 258.6 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - (3 199.2 ათასი ლარი)- 39.3%.

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სკვერებში არსებული სასმელი წყლის და შადრევნის წყლის ხარჯის დაფინანსება, მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების ფრაგმენტული და ახლის მოწყობის სამუშაოები; სოფ. გოროვანში სკვერის რეაბილიტაცია; სოფ. წეროვნის იგპ დასახლებაში ივანე მაჩაბლის სახელობის სკვერის მოწყობა.

02 06 02 დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა (განმახორციელებელი - ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“) - დაფინანსებულია 93,6 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 120.0 ათასი ლარი - 78%.

განხორციელდა არსებული დაზიანებული ბორდიურების, საყრდენი კედლების, მოსაცდელების სარემონტო სამუშაოები, გარე განათების ბოძების, მოაჯირების, ხის სანაგვე ურნების შეღებვა, ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული ატრაქციონების, სკამების, ნაგვის კონტეინერების, სკვერებში წყლის ონკანების შეკეთება, სასმელი წყლის სოკოს დამონტაჟება, სამანქანო გზის ნაპირების გაწმენდა და სხვა სარემონტო სამუშაოები.

02 06 03 სადღესასწაულო ღონისძიებები - დაფინანსებულია 56.4 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის -614.0 ათასი ლარი - 9.2%.
საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა საშობაო-საახალწლო დღესასწაულისთვის ქალაქში საახალწლო დეკორაციების და მთავარი ნაძვის ხის მონტაჟი/დემონტაჟის ღონისძიებები;

02 07 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაფინანსებულია 929.4 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი 387,2 ათასი ლარი), გეგმური მაჩვენებლის -2 938.0 ათასი ლარი - 31.6%. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა მუნიციპალიტეტის სოფლებში 60 ათას ლარამდე ღირებულების მცირე, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები: გარე განათების მოწყობის სამუშაოები, გზების მოხრეშა/რეაბილიტაცია, სასმელი წყლის სისტემების, სარწყავი და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და სხვა.

02 08 სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია დაფინანსებულია 414.6 ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 1 260.1 ათასი ლარი - 32,9%.
საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია სოფ. ციხისძირში არხის რეაბილიტაცია; სოფლებში სარწყავი არხების გაწმენდა, სოფ. მუხრანში, მდ. ქსნის კალაპოტში, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, სოფ. სასხორში გზისპირა სარინელის მოწყობა.

02 09 მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება - დაფინანსებულია 637.5 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 3 058.3 ათასი ლარი - 20.8 %.
საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (441,5 ათასი ლარი) და ჩატარებული სამუშაოების ხარისხზე ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების (196,0 ათასი ლარი) შესყიდვა.

02 10 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება - დაფინანსებულია 1 045.2 ათასი ლარით (მათ შორის, სპეციალური ტრანსფერი 644.9 ათასი ლარი), გეგმური მაჩვენებლის - 2 092.8 ათასი ლარი - 49.9%.
საანგარიშო პერიოდში სპეციალური ტრანსფერით დაფინანსდა სოფ. წეროვანში, მდინარე ნარეკვავის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან - სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის მანქანა-დანადგარებისა და მათი ოპერატორების დაქირავების ხარჯი, სტიქიის შედეგად დაზიანებული საავტომობილო გზების მოხრეშვა-მოსწორების მიმდინარე სამუშაოები, სოფ. ძეგვში სტიქიის შედეგად დაზიანებული წყალმომარაგების სათავე - ნაგებობის რეაბილიტაცია (N186 30.01.25წ.)

02 11 ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა - დაფინანსებულია 387.0 ათასი ლარით (მ.შ. ტრანსფერი 322.4 ათასი ლარი), გეგმური მაჩვენებლის - 400.4 ათასი ლარი - 96.7%.

დაფინანსდა შიდა საუბნო გზების მოხრეშვა სოფლებში: ნატახტარი, ძალისი, ნავაზი, მისაქციელი; სოფ. სასხორში გზისპირა 13 მოსახლის სახლის კედლის გასწვრივ სარინელის მოწყობა, სოფ. წილკანში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, გარე განათების მოწყობა სოფლებში: ნავდარაანთკარი, კოტორაანთკარი, ბურიანი, ნავაზი, წილკანი, ძალისი, ვაზიანი, მისაქციელი, სოფ. ციხისძირში რეკრეაციული ზონის შემოღობვა, ქ. მცხეთაში, რუსთაველის ქუჩაზე გრუნტიანი მონაკვეთის ბეტონის საფარით მოწყობა;

02 12 სპეციალური დანიშნულების ინვენტარის და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა - გეგმა განისაზღვრა 6 705.0 ათასი ლარით, შეძენილია 6 ერთეული ნაგავმზიდი, ხარჯი განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

ათასი ლარი

კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	პერიოდის გეგმა	პერიოდის ხარჯი	სხვაობა, +/-	შესრულება, %
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	6,339.8	3,812.7	2,527.1	60.1
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	4,750.0	3,503.5	1,246.5	73.8
03 02	მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა	1,379.5	286.9	1,092.6	20.8
03 02 01	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	352.5	286.9	65.6	81.4
03 02 02	მწვანე ნარგავების გაშენება	1,027.0	-	1,027.0	-
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	210.3	22.3	188.0	10.6

03 01 დასუფთავება და ნარჩენების გატანა დაფინანსებულია **3 503,5** ათასი ლარით, გეგმის - 4 750,0 ათასი ლარი - 73,8%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქ. მცხეთის 179420 კვ.მ. ფართობის ქუჩების ყოველდღიურად დაგვა-დასუფთავება, ქუჩების გაწმენდა ქვიშისა და ნარჩენებისგან; დიდთოვლობის დროს სოფ. ლისის, წოდორეთის, მსხალდიდის, ნაფეტვრების, ნიჩბისის, ფრეზეთის, საგურამოს ქუჩებში დაიყარა 117კუბმ. ქვიშა და 15 ტონა მარილი; ქალაქ მცხეთის (მათ შორის, ქალაქის სასაფლაოს ტერიტორია) და მუნიციპალიტეტში შემავალი 22 ადმინისტრაციული ერთეულების სოფლებიდან და ორგანიზაციებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა (11 ნაგავმზიდით) 45 კმ - ზე კასპის ნაგავსაყრელზე.

აღნიშნულ პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასახლებული პუნქტებიდან და ორგანიზაციებიდან სულ გატანილ იქნა 11157 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი, მათ შორის, ქ. მცხეთიდან - 2428 ტონა, სოფლებიდან - 7056 ტონა, ორგანიზაციებიდან - 1673 ტონა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია სულ 1,1 კუბ.მ ტევადობის 2065 ცალი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პლასტმასის კონტეინერი, მათ შორის, ქ. მცხეთის ტერიტორიაზე

- 257 ცალი, სოფლებში - 1640 ცალი, ორგანიზაციებში -150 ცალი; ქ. მცხეთაში განთავსებულია 48 ცალი 50 ლიტრიანი ნაგვის კონტეინერი.

პროგრამის ფარგლებში სისტემატურად, ყოველი წვიმის შემდეგ, ხორციელდებოდა ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული 2426 გრძ/მ სანიაღვრე არხებისა და ჭების გაწმენდა წვიმის ნიაღვრისგან ჩამოტანილი ნარჩენებისგან, ასევე გაიწმინდა სანიაღვრე არხი სოფ. საგურამოში, კოკისპირული წვიმის შედეგად ჩამოტანილი ქვიშისა და ნარჩენებისგან. ყოველდღიურად ხდებოდა ქ. მცხეთის სასაფლაოს ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

03 02 01 მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა დაფინანსებულია 286,9 ათასი ლარით, გეგმის - 352,5 ათასი ლარი - 81,4%.

განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 152000 კვ.მ. ფართობის მწვანე საფარის ნორმალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად სისტემატურად ხდებოდა პარკებისა და სკვერების ფერდობების და გაზონების მწვანე ფართობის ტერიტორიების გაკრეჭა-დაფოცხა, მწვანე ნარგავების შემობარვა, ჯამების მოწყობა, ხმელი ხეების მოჭრა, ეკალბარდის გაჩეხა, ბუჩქების და გაზონების გაკრეჭა, მოიჭრა 20 ძირი ამორტიზებული, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ხე, მთლიანად გაიჩეხა და გაიწმინდა ეკალ-ბარდებისა და გამხმარი ტოტებისაგან ფარნავაზის მოედნიდან მუხათგვერდამდე ცენტრალური გზის მიმდებარე ტერიტორიები და თეატრონის ტერიტორია, ამ სამუშაოების დროს გატანილ იქნა დაახლოებით 263 კუბ.მეტრი ნარჩენი.

03 02 02 მწვანე ნარგავების გაშენება - საანგარიშო პერიოდის გეგმა - 1027,0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში ხარჯი არ გაწეულა;

03 04 უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - დაფინანსებულია 22,3 ათასი ლარით, გეგმის - 210,3 ათასი ლარი - 10,6%.

განათლება

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	პერიოდის გეგმა	პერიოდის ხარჯი	სხვაობა, +/-	შესრულება, %
04 00	**განათლება**	**12,619.4**	**9,956.8**	**2,662.5**	**78.9**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	10,643.2	9,311.9	1,331.3	87.5
04 04	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა	1,976.1	644.9	1,331.2	32.6

04 01 სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა დაფინანსებულია 9 311,9 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 10 643,2 ათასი ლარი - 87,5%. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“.

საანგარიშო პერიოდში ავტორიზაცია მიენიჭა ქ. მცხეთის N6, სოფ. აღდგომლიანთკარის, სოფ. ნატახტრის, სოფ. საგურამოს, სოფ. ციხისძირის, სოფ. მუხრანის N1, სოფ. წეროვნის საბავშვო ბაღებს. ამ ეტაპზე გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაგა-ბაღებში ირიცხება 1738 აღსაზრდელი.

სოფ. მისაქციელის და სოფ. გალავნის საბავშვო ბაგა-ბაღის შენობებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო სააღმზრდელო დაწესებულებების აღსაზრდელებს

მომსახურებას უწევენ სოფ. ბიწმენდის, სოფ. საგურამოს, სოფ. აღდგომლიანთკარის და სოფ. ნატახტრის საბავშვო ბაგა-ბაღები.

04 04 ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა დაფინანსებულია 644,9 ათასი ლარით, (მათ შორის, მიზნობრივი ტრანსფერი 603,4 ათასი ლარი), გეგმური მაჩვენებლის - 1 976,1 ათასი ლარი - 32,6%;

საანგარიშო პერიოდში მიზნობრივი ტრანსფერით დაფინანსდა: საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა (410,4 ათასი ლარი) და საჯარო სკოლების რეაბილიტაცია (193,0 ათასი ლარი), კერძოდ: სოფ. მისაქციელის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია; ქ. მცხეთის N2 და სოფ. წეროვნის N3 საჯარო სკოლებში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის და სიგნალიზაციის დამონტაჟება;

ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელდა საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასის 95 წარჩინებული მოსწავლის წახალისება ფულადი ჯილდოთი;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

ათასი ლარი

კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	პერიოდის გეგმა	პერიოდის ხარჯი	სხვაობა, +/-	შესრულება, %
05 00	**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**	**7,041.1**	**5,544.9**	**1,496.1**	**78.8**
05 01	**სპორტის სფეროს განვითარება**	**4,534.7**	**3,363.3**	**1,171.4**	**74.2**
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2,491.9	2,283.9	208.1	91.7
05 01 01 01	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	385.5	362.9	22.6	94.1
05 01 01 02	კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა	339.1	297.0	42.1	87.6
05 01 01 03	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა	711.6	639.0	72.6	89.8
05 01 01 04	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა	330.2	301.0	29.2	91.2
05 01 01 05	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	650.5	608.9	41.6	93.6
05 01 01 06	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	75.0	75.0	-	100.0
05 01 02	**სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა**	**2,042.8**	**1,079.4**	**963.4**	**52.8**
05 02	**კულტურის სფეროს განვითარება**	**2,506.4**	**2,181.7**	**324.7**	**87.0**
05 02 01	კულტურის დაწესებულებების ხელშეწყობა	2,206.1	1,922.7	283.4	87.2

კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	პერიოდის გეგმა	პერიოდის ხარჯი	სხვაობა, +/-	შესრულება, %
05 02 01 01	კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა	2,173.1	1,903.7	269.4	87.6
05 02 01 04	მუზეუმების ხელშეწყობა	33.0	19.0	14.0	57.6
05 02 03	კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	1.4	-	1.4	-
05 02 05	კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	298.9	259.0	39.9	86.6

05 01 01 01 ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 362,9 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 385,5 ათასი ლარი - 94,1%, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“.
სკოლაში რეგისტრირებულია 354 ფეხბურთელი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 16 ჯგუფი: ქ. მცხეთაში - 4; სოფლებში: საგურამო -1, გალავანი -1, ქსოვრისი - 1, წილკანი - 1, მუხრანი - 5, ძეგვი - 3 ჯგუფი.
სკოლის ფეხბურთელების 2 გუნდი მონაწილეობს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩემპიონ ლიგის გათამაშებაში, 12 გუნდი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონულ პირველობაზე სამ ასაკობრივ კატეგორიაში.

05 01 01 02 კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 297,0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 339,1 ათასი ლარი - 87,6%, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია“;
წლის განმავლობაში სკოლის მოსწავლეებმა წარმატებით იასპარეზეს სხვადასხვა რანგის ტურნირებზე, მოიპოვეს საპრიზო ადგილები როგორც ინდივიდუალურ, ისე გუნდურ ასპარეზობაში.

05 01 01 03 ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 639,0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 711,6 ათასი ლარი - 89,8%, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა“;
სკოლის მოსწავლეებმა წარმატებით იასპარეზეს და დაიკავეს საპრიზო ადგილები სხვადასხვა რანგის ტურნირებზე.

05 01 01 04 სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 301,0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 330,2 ათასი ლარი - 91,2%, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა“;
მიმდინარე წელს სკოლის სპორტსმენებმა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებზე წარმატებით იასპარეზეს და მოიპოვეს საპრიზო ადგილები.

05 01 01 05 საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 608,9 ათასი ლარით გეგმური მაჩვენებლის - 650,5 ათასი ლარი - 93,6%, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“.

05 01 01 06 რაგბის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 75,0 ათასი ლარით გეგმური მაჩვენებლის - 75,0 ათასი ლარი - 100,0 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი „ყაზბეგი“.

05 01 02 სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა დაფინანსებულია 1 079,4 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 2 042,8 ათასი ლარი - 52,8 %.

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: სოფ. მუხრანში საჭიდაო დარბაზის ეზოს +კეთილმოწყობა; ქ. მცხეთაში, სპორტული მოედნის (მარანი ჰოლის მიმდებარედ) რეაბილიტაცია; სოფ. გალავანში არჩილ ჩოხელის სახელობის საჭიდაო დარბაზის მიშენება-რეაბილიტაცია; სპორტული მოედნების რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის სოფლებში: მისაქციელი, ნავაზი, ვაზიანი, ჩარდახი, ძეგვი და ქ. მცხეთაში აღმაშენებლის ქ. N77-ის მიმდებარედ.

05 02 01 01 კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა დაფინანსებულია 1 903,7 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 2 173,1 ათასი ლარი -87,6 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“;

05 02 01 04 მუზეუმების ხელშეწყობა დაფინანსებულია 19,0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 33,0 ათასი ლარი -57,6 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“;

05 02 05 კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 259,0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 298,9 ათასი ლარი - 86,6 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი“.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა 25 ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა და ზედაპირული არქეოლოგიური დათვალიერების 32 აქტი;

ძეგლების მდგომარეობის მონიტორინგის, ისტორიული ღირებულების წარმოჩენის და ტურისტული მარშრუტის დაგეგმვის ფარგლებში განხორციელდა მცხეთის ისტორიულ შემოსასვლელში არსებული ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტების აღრიცხვა. კვლევის დასრულების შემდეგ მოხდება მათი კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი ფორმატით წარდგენა, მათი შემდგომი გაძეგლების და რესტავრაციის მიზნით.

განხორციელდა კვლევები ისტორიული „პომპეუსის ხიდის“ მაკეტის შესაქმნელად.

პროექტ „ჩვენი წინაპრების“ ფარგლებში მიმდინარეობს სვეტიცხოვლის ტაძრის საეკლესიო ჩანაწერების დამუშავება;

საანგარიშო პერიოდში ტურისტული საინფორმაციო ცენტრი მოემსახურა 40345 საერთაშორისო ვიზიტორს, ყველაზე მეტი ტურისტი იყო ჩინეთიდან, რუსეთიდან, პოლონეთიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, ბელორუსიიდან და სხვა.

ტურიზმის განყოფილების თანამშრომლების მიერ მუდმივად ხორციელდება ინფორმაციის განახლება ტურისტული ობიექტების და ინფრასტრუქტური, ტურისტული მარშრუტების, ტურისტული დანიშნულების ადგილების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული ტერიტორიებისა და ეროვნული პარკების, კურორტების, ტრანსპორტის განრიგის, სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ და სხვა.

ცენტრი მუშაობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიმართულებით, დახმარებას უწევდა ვიზიტორებს ტურისტული მარშრუტების შედგენაში და ტურისტული პროდუქტის შერჩევაში, მიმდინარეობს ახალი გზამკვლელევებისა და ბუკლეტების შედგენა, Mtskheta-Live პროექტის განახლებაზე მუშაობა.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	პერიოდის გეგმა	პერიოდის ხარჯი	სხვაობა, +/-	შესრულება, %
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**3,814.5**	**2,139.6**	**1,675.0**	**56.1**
06 01	**ჯანმრთელობის დაცვა**	**1,423.0**	**1,146.6**	**276.4**	**80.6**
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	348.1	328.2	19.9	94.3
06 01 02	მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციების ხარჯების დაფინანსება	1,074.9	818.4	256.5	76.1
06 02	**სოციალური დაცვა**	**2,391.5**	**993.0**	**1,398.5**	**41.5**
06 02 01	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	2,024.2	650.4	1,376.2	32.1
06 02 02	ერთჯერადი სოციალური დახმარება	102.4	102.1	- 2.1	102.1
06 02 03	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება	3.0	1.3	1.8	41.7
06 02 04	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება	60.4	50.9	9.5	84.3
06 02 05	ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა	75.7	72.7	3.0	96.0
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	125.8	115.6	10.2	91.9

06 01 ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია 2 139,6 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 3 814,5 ათასი ლარის - 56,1%, შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 01 01 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსებულია 328,2 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის 348,1 ათასი ლარი 94,3%, (მათ შორის, მიზნობრივი ტრანსფერი 220,3 ათასი ლარი) საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯები;

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით საშიში ინფექციებიდან დაფიქსირდა ბრუცელოზის 2 შემთხვევა. სხვადასხვა ინფექციური დაავადებებიდან ცენტრში დარეგისტრირდა: დიარეა- 10, ტუბერკელოზი - 8, ქრონიკული ჰეპატიტი „ბ“ – 8, „ც“ – 2; ნოზოკომიური პნევმონია - 57, საშარდე გზების ნოზოკომიური ინფექცია - 6, ჩუტყვავილა - 80, სალმონელოზი - 5, სიფილისი - 21, ლაიმის დაავადება - 2, ტეტანუსი -1, 15-49 წლამდე ქალის სიკვდილიანობა - 3, 0-5 წლამდე ბავშვის სიკვდილი - 1, ცოფის რისკის ექსპოზიცია - 661, ყველას ჩაუტარდა ანტირაბიული მკურნალობა და დამყარებული იქნა ათდღიანი მეთვალყურეობა. ჰელმითებზე კვლევა ჩაუტარდა 255 პირს, მიეცათ სათანადო დანიშნულება.

გეგმური იმუნიზაციით ვაქცინირებულია: ერთ წლამდე ასაკის ბავშვები - 122, 5 წლის ასაკის კონტინგენტი - 250, 14 წლის ასაკის კონტინგენტი - 442 ბავშვი.

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებით ზედამხედველობა განხორციელდა 13 საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებაზე (სილამაზის სალონზე), 29 საჯარო სკოლაზე და 31 საბავშვო ბაღზე.

ცენტრის მიერ ჩატარდა საბონიფიკაციო სამუშაოები: ინსექტიციდი „სოლფაკით“ დამუშავდა ცხოველების სადგომები, სადარბაზოები, სარდაფები, მიტოვებული შენობები, სულ 80000კვმ ფართობი.

06 01 02 მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება დაფინანსებულია 818,4 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 1 074,9 ათასი ლარი - 76,1%; საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციის ღირებულების დაფინანსება (1046 ბენეფიციარი), აუტისტური სპექტრის და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე არასრულწლოვანი პირების (49 ბენეფიციარი) ფინანსური დახმარება.

06 02 01 ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა დაფინანსებულია 650,4 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის 2 024,2 ათასი ლარის 32,1%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: მესამე და მეტი შვილის შეძენაზე 58 ბენეფიციარის ერთჯერადი ფინანსური დახმარება, დღესასწაულებთან (დედის დღე, აღდგომა) დაკავშირებით 2 000 ოჯახის სასურსათო კალათით დახმარება, ცელიაკიით დაავადებული 8 ბენეფიციარის ფინანსური დახმარება, თავშესაფრის არმქონე 3 ოჯახს დაუფინანსდა საცხოვრებელი ფართის ქირის გადასახადი, ჟანგბადის აპარატით მოსარგებლე 10 ბენეფიციარს გაეწია დახმარება ჟანგბადის აპარატით, ხანძრის შედეგად დაზარალებულ 4 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება; 21 წლამდე ასაკის შაქრიანი დიაბეტით (ინსულინდამოკიდებული) დაავადებულ 11 ბენეფიციარს გაეწია საკურორტო დახმარება; დღის ცენტრის 36 შშმ ბენეფიციარს გაეწია საკურორტო დახმარება.

06 02 02 ერთჯერადი და სოციალური დახმარება დაფინანსებულია 102,1 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 102,4 ათასი ლარი - 99,7%;

საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია 655 ბენეფიციარს.

06 02 03 ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება დაფინანსებულია 1,3 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 3,0 ათასი ლარი - 41,7%;

საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს გადაეცა ფინანსური დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის, ხოლო სარიტუალო ხარჯები აუნაზღაურდა სამი ბენეფიციარის ოჯახს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

06 02 04 დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება დაფინანსებულია 50,9 ათასი ლარით (30 ბენეფიციარი), გეგმური მაჩვენებლის - 60,4 ათასი ლარი- 84,3 %;

06 02 05 ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა დაფინანსებულია 72,7 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის -75,7 ათასი ლარი- 96%, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანება“.

საანგარიშო პერიოდში სოფ. წეროვნის და წილკნის დევნილთა დასახლებაში მცხოვრებ ომის ვეტერანთა 250 ოჯახს გადაეცა ჰუმანიტარული დახმარება: ახალი საბნები, მეორადი ტანსაცმელი, ბრინჯი;

უფასო სასადილოს ბენეფიციარებს გადაეცათ ჰუმანიტარული დახმარება: ახალი საბნები, ჰიგიენის საშუალებები, პირველადი მოხმარების უფასო მედიკამენტები, წნევის საზომი აპარატი.

ძეგვის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის მონასტერთან არსებულ სარეაბილიტაციო ცენტრს გადაეცა საბნები, ტანსაცმელი, გადაადგილების საშუალებები.

წილკნის ხანდაზმულთა პანსიონატს - საბნები და ჰიგიენური საშუალებები;

სასკოლო ნაკრებები (ჯამში 50 000 აშშ დოლარის ღირებულების) გადაეცათ: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათ გაერთიანებას - 1900 ერთეული; საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს - 2100 ერთეული; საფეხბურთო სკოლას - 120 ერთეული; სხვადასხვა სახეობის სასპორტო სკოლას - 60 ერთეული;

06 02 06 მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება (38 ბენეფიციარი) დაფინანსებულია 115,6 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის -125,8 ათასი ლარი- 91,9%;
საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის“.

საანგარიშო პერიოდში სტანდარტების შესაბამისად დამტკიცებული ერთკვირიანი მენიუთი სასადილო მოემსახურა 39 ბენეფიციარს.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

ათასი ლარი

კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	პერიოდის გეგმა	პერიოდის ხარჯი	სხვაობა, +/-	შესრულება, %
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	7,934.6	6,159.9	1,774.7	77.6
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	7,919.6	6,159.9	1,759.7	77.8
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,263.8	1,171.9	91.9	92.7
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	6,600.8	4,976.7	1,624.2	75.4
01 01 04	საჯარო მოხელეთა პროფესიული სწავლება	55.0	11.3	43.7	20.6
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	15.0	-	15.0	-
01 02 04	მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა	15.0	-	15.0	-

01 01 01 მუნიციპალიტეტის საკრებულო - 2026 წლის დაზუსტებული გეგმა - 1 263,8 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 1 171,9 ათასი ლარი - 92,7%;

საანგარიშო პერიოდში გაწეულია ფუნქციონირების ხარჯები: შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 921,0 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 175,8 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 3,7 ათ. ლარი, სხვა ხარჯებზე - 71,4 ათასი ლარი.

01 01 02 მუნიციპალიტეტის მერია - 2026 წლის დაზუსტებული გეგმა - 6 600,8 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 4 976,7 ათასი ლარი - 75,4%;
საანგარიშო პერიოდში გაწეულია ფუნქციონირების ხარჯები: შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 3 432,0 ათ. ლარი, საქონელი და მომსახურებაზე - 1315,9 ათ. ლარი, სუბსიდიებზე - 97,2 ათ.ლარი, სოციალური უზრუნველყოფაზე - 77,3 ათ. ლარი, სხვა ხარჯებზე - 35,2 ათ. ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 19.1 ათ. ლარი;

01 01 04 საჯარო მოხელეთა პროფესიული სწავლება - 2026 წლის დაზუსტებული გეგმა - 55.0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 11.3 ათასი ლარი - 20,6%;

01 02 04 მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა - 2026 წლის დაზუსტებული გეგმა - 15,0 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში ხარჯი არ გაწეულა.